

საბრძოლო

საერთო უკრაინული გაზეთი

პარასკევი 13 ივლისი 2001 №130 (1403)

ფასი 50 თეთრი

გუშინ მოსკოვში გაიხსნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) 112-ე სესია, რომელიც 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის და სოკ-ის ახალი პრეზიდენტის ვინაობას გამოავლენს.

სამრეზიდენტო არჩევნები ორმაბათს გაიმართება, დღეს კი სოკ-ის წევრები ოლიმპიად-2008-ის დედაქალაქს აირჩევენ.

სოკ-ს 122 წევრი ჰყავს. მათგან სამი, ინდონეზიელი ბობ პასანი, ჩეხი ვერა ჩასლავსკა და კოლდიფუარელი ლასანა პალენფო მოსკოვში არ იმყოფებიან და შესაბამისად, ვერც არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას. 13 წევრი იმ ქვეყნებიდანაა, რომელთა ქალაქებსაც ოლიმპიადის მასპინძლობა სურთ. წესის თანახმად, ისინი მანამ ვერ ჩაერთვებიან არჩევნებში, სანამ მათი ქვეყნის წარმომადგენელი ქალაქი ბრძოლას არ გამოეთიშება.

რჩება 106 წევრი, რომელიც მოსწიფეობას მიიღებს არჩევნების პირველ ტურში.

ხმის მიცემის პროცედურა სრულიად გასაიდუმლოებულია. ვინ ვის დაუჭერს მხარს, მარად უცნობი იქნება. პირველ ტურში თუკი რომელიმე კანდიდატი უბრალო უმრავლესობას — 54 ხმას დააგროვებს, ოლიმპიად-2008-ის დედაქალაქად გამოცხადდება. თუ ასე არ მოხდება, ყველაზე ცოტა ხმის მქონე კანდიდატი ბრძოლას გამოეთიშება და დაინიშნება მეორე ტური. და ასე იქნება მანამ, სანამ ერთ-ერთი კანდიდატთაგანი ხმათა უმრავლესობას არ მიიღებს.

სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანი, რომელსაც თანამდებობაზე ყოფნის ოთხი დღე დარჩა, თავდაპირველად არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს. იგი ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება ჩაერთოს საქმეში: თუკი ბრძოლას შემთორწინელი ორი კანდიდატი ხმათა თანაბარ რაოდენობას დააგროვებს. აი მაშინ კი ესპანელი მარცხის სიტყვა გადამწყვეტი იქნება და 2008 წლის ოლიმპიადის დედაქალაქსაც გააცხადებს.

ვეუაპთა ოში ოლიმპიადის დედაქალაქს უკვდავი სახელი პირჩევს: პოლიტიკა, დიპლომატია, ფული

მწარე
ზანაიზვილი
მოსკოვიდან



სავიზო-საკონსულო გაუგებრობების გამო თბილის-მოსკოვის დილის რეისის ჩამორჩენილს, შემდგომში კი ასე ნაცნობი და ჩვეული დაგვიანებით „აეროფლოტის“ თვითმფრინავით რუსეთის დედაქალაქში ჩასულს მოსკოვი კოკისპირული წვიმით და მაინც ისეთი ზვატით შეშვედა, თბილისი სანატრელი გავიხდებოდა.

ყველაფერს წუთები წყვეტდა და მეც გეზი პირდაპირ დიდი თეატრისკენ ავიღე.

დიდი თეატრი და მისი მიდამოები უმტკიცესად გამაგრებულ ციხესიმაგრეს ჰგავდა: ყოველმხრივ გადაკეტილ-გადაღობილი, ბევრი ფორმიანი და უფორმო წესრიგის დამკვიდრი, შავ კოსტიუმებსა და პერანგებს თუ თინეჯერულად გამოწყობილი სპეცსამსახურის მუშაკები, მილიციის ყველანაირი ზომა-წონის ავტომანქანები... ერთი კია: კორდონს აქეთ, დიდი თეატრის, სასტუმრო „მოსკოვისა“ და „ოზონი რიადის“ ეს მონაკვეთები, ადრეც ცნობილი „ლამის პეპლების“ სიმრავლით, ამჟერადაც, დღის სინათლის მიუხედავად, საესე იყო ღამაზმანებით. საოცრად ბევრნი და ძალზე გამოშვებულ ჩაცმულ-დახურულნი (უფრო სწორად, თითქმის გახდილი), ისინი არავის და არაფერს ეპუებოდნენ. ცალკე თუ ჯგუფ-ჯგუფად მიმოდიოდნენ საკბილოს მებნაში. ალბად კარგად იცნან, რომ ახლა სოკ-ის წევრებს ხელს ვერ გამოკრავენ, მაგრამ მოსკოვში ზომ უამრავი უურნალობა და სხვადასხვა რანგის მოხელეა ჩამოსული, რომელთაც რუსი გოგონების აკვარგანობაზე ბევრი რამ სმენიათ. მაგრამ ეს რა ჩვენი საქმეა და დავწყებული



თქვენ რა იცით, მე რომ ვიცა ვის ხედავს სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანი 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლად?

თემა განვადრძოთ. ერთი სიტყვით, სოკ-ის წევრების უსაფრთხოებას კარგად იცავენ და ეს მართლაც საჭიროა. ეშმაკს არ სძინავს და, თადარიგის დაჭერა, ზედმეტი სიფრთხილე საქმეს მაინც არ ავნებს.


ბოლო-ბოლო, დიდ თეატრში საერთაშორისო ოლიმპიურ და სპორტულ ბოზონდონ ერთად რუსეთის მთელი სახელისუფლო ელიტაც იყო.

ვერაფერს იტყვი, აშნაირი ღონისძიებების ჩატარება რუსებმა კარგად იციან და კარგადაც

გამოსდიოთ. გამონაკლისი არც სოკ-ის სესიის გახსნის საზეიმო ცერემონია იყო. რუსეთის ოლიმპიური და სპორტული თავაკები, სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელები შეეცადნენ ღირსეულად გაეცილებინათ ხუან ანტონიო სამარანი, რომელიც ორი ათეული წლის მანძილზე ასეთ დიდ ყურადღებას იჩენდა რუსეთის ოლიმპიური მოძრაობის მიმართ.

იხილეთ მეთერთმეტე - მეთხუთმეტე გვერდები

პერონი ჩვენი და მსოფლიოში საუკეთესო ის უსმანს მოცარტს, დაქრის ფარარით. სკალპივით აბროვებს ბიკინებს...



ალექს ფერგიუსონი და „მანჩესტერი“ ხუან სებასტიან ვერონით თავს იწონებენ

ჩვენ ვეძებდით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს და ვიპოვეთ — თქვა გუშინ „ოლდ ტრეფორდზე“ მოწყობილ საგანგებო პრესკონფერენციაზე „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა და მედიას არგენტინელი ხუან სებასტიან ვერონი წარუდგინა. კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ ჯინიონმა კი დაამატა, მალე დარწმუნდებით, რომ ამდენი ფული წყალში არ გადაგვიყრიაო.

მაშ ასე, რომის „ლაციოს“ 26 წლის ნახევარმცველი ხუან სებასტიან ვერონი ბრიტანული სატრანსფერო ბაზრისთვის სარეკორდო თანხად — 39,3 მილიონ დოლარად გუშინდლიდან 5 წლით მანჩესტერელი გახდა.

იხილეთ მეორე გვერდი

კალთხაუბრი. ეპროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. მასარჩევი ტურნირი. II ტური

საბარქნეთი 111
საქართველო 91

საბარქნეთში, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა გერმანიის ძლევის შემდეგ გუშინ მეორე მატჩი გამართა. ამჯერად ჩვენს გუნდს მრისხანე მეტოქესთან მოუწია თამაში. ტურნირის მასპინძლებს, რომლებმაც პირველ ტურში ინგლისი მინასთან გაასწორეს, არც ქართველთა დამარცხება გაძნელებიათ. მთელი მატჩის მანძილზე ბერძნები დამაჯერებლად ლიდერობდნენ. მეორე ნახევარში ჩვენებმა ერთხანს ანგარიშში სხვაობა 9 ქულამდე შეამცირეს, მაგრამ ძალა აღმართს ხნავსო და საბოლოოდ დამარცხდნენ — 9:111.

გუშინვე იუგოსლავიამ ინგლისი დაიბრია, ხოლო გერმანელებმა პორტუგალიელებს მოუგეს.

დღეს საქართველოს ნაკრები ინგლისის ეთამაშება.

ლინფილდი 0:0 გორკაედო

ბელჯისტი. „უნდორ პარკი“. 2 699 მყურებელი. 11 03 წმ. 21:00 საათი

ლინფილდი: რობინსონი, კოლე (ნ. კელი 87), დ. მერფი, ბიკინგი, ვ. მერფი, რ. კელი, ლარმური, ტ. გორმანი (სკეტი 82), ფერგუსონი, მაკბრაიდი (მარკი 10), ბელი სათადარიგოში: მანუა, მაკენინი, ართური, მაკრეკნი

გორკაედო: გვარამიაძე, აბრამიძე, ზვადგიაძი, ქემოკლიძე, თოფუა, მახვილაძე (ისაიანი 32), დიდიბა, აკოფიანი, ასათიანი, აშუთია (კონსტანტინე 32), ზ. ქუთათელაძე (ახალკაცი 46) სათადარიგოში: სტურუა, კვციანიძე, გვარჯიანი, ლ. ტელიძე

ბელჯისტი: კოლე (16), მარკი (41), დიდიბა (90)

მსაჯე: ონი ბიტიკი; არი ტურკი, ქა ვეპელიანი; მიკა ბელტოლა (ცვლად ფინეი)

აირიშედიას აზრები ჯეფრის ლაშკარი — ქუთაისში მოგვალე ქარი ახარი

ჩრდილოეთის ლანდშაფტის პრესას „ტორპედო“ ძვირი არ დასცდენია, თუმცა ბევრიც არაფერი უთქვამს ჩვენებურებს. მასმედიის შეფასება დაახლოებით ასეთია — „ტორპედო“ მეტოქეზე უფრო სოლიდურად გამოიყურებოდა.

ბელჯისტილები ნახევარმცველ ჯემი მარკის ორ გაცულებულ თავურს მისტირიან — ორივე დარტყმა ასცდა გვარამიას კარს. აღნიშნავენ აგრეთვე მათი კარის დარაჯ რობერტ რობინსონის ბრწყინვალე თამაშს იმ ეპიზოდში, როცა მან შალვა ისიანს გოლი არ გაატანინა. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ნახევარმცველი რასელ კელი შერაცხეს. შეაქვს მარკ პიკინგი და ტონი გორმანი, ხოლო ფორვარდ გლენ ფერგუსონზე თქვეს, უფრო მეტი მოეთხოვებოდა.

ბელჯისტიურ გაზეთ „სპორტს ექსპრეს“ გუშინდელ ნომერში „ლინფილდის“ მთავარ მწვრთნელ დევიდ ჯეფრის კომენტარებია.

— ვფიქრობ, პირველ ტაიმში ძალიან ვფრთხილობდით, საკუთარ თავს ვცდიდით მეტოქესთან და „ტორპედოს“ საშუალება მიეცემა, თავი ქედამდღურად დაეჭირა. ბურთის ფლობასა და

გადაცემებში მოვიკოვლებდით, თავდაჯერებულად ვერ ვიბრძოდით. მეორე ტაიმის დაწყების წინ კი ფეხბურთელებს ვუთხარი, დასაკარგი არაფერი გვაქვს, არაფრის უნდა გვეშინოდეს და შეგვიძლია ჩვენთვის სასურველ ანგარიშში ჩავამთავროთ მატჩი-მეთქი. და მართლაც, გოლის გატანის ერთი-ორი შანსი მოგვცა, მაგრამ ვერ ვივარგეთ. საბედნიეროდ, ის მაინც მოვახერხეთ, რომ ბურთი არ გაეუშვით. რისთვისაც ჩვენი დაცვა უნდა შევაქოთ.

— საქართველოში იმ იმედით მივივარეთ, რომ შანსი კიდევ არსებობს. თუ ჩვენ გოლს გაიტანთ და ფრედ, 1:1 ვითამაშებთ, გადავლახავთ ამ ეტაპს — ვფიქრობ, ეს ჯერ კიდევ შესალებელია.

თვით გაზეთი „სპორტს ექსპრეს“ იქვე მიუთითებს, რომ „ლინფილდს“ და „ტორპედოს“ ჯერაც ბლომად დარჩენიათ ერთმანეთში გასარკვევი, დანის ჩემპიონი „კოპენჰაგენი“ მათ შორის გამარჯვებულს ელის, მაგრამ ქართულ გუნდს საპასუხო მატჩის შინ თამაშის უპირატესობა აქვს და ფავორიტადაც ის უნდა შევრაცხეთო.

დავით თაგარათილაძე



ტორპედოელი რევაზ ქემოკლიძე (16) და გლენ ფერგუსონი

სპარტაკული მამა უპილოტო პასა მშაგანაძე რუსულმა სიტუომ გააოცა

გუშინინ რუსეთის უმაღლეს ლიგაში და ქვეყნის ჩემპიონ „სპარტაკში“ 15-წუთიანი დებიუტი შექონდა მოსკოველი ახლახან გადაბარებულ ქართველ ნახევარმცველ კახა მყავანაძეს. „სპარტაკი“ რომ ჩერნომორეცს „5:0 ამარცხებდა, მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა ჩვენებური ბულატოვის შემცვლელად მაშინ ათამაშა და მიუხედავად ასეთი ანგარიშისა, როგორც მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, ქართველის გარჯით კმაყოფილი დარჩენილა. სხვათა შორის, კახა მყავანაძემ წინა დღით „სპარტაკის“ დუბლებშიც ითამაშა და ნაგებულ მატჩში ის და მეორე ქართველი დავით ქოქიაშვილი თანაგუნდელებში საუკეთესო იყვნენ. მოკლედ, რუსეთის ჩემპიონ მოსკოვის „სპარტაკში“ კიდევ ერთი ქართველის კარიერა დაიწყო და ისე ჩანს, რომ ამ ქობულეთელმა ბიჭმა ძირითად შემადგენლობაშიც მალე უნდა დაიმკვიდროს ადგილი. ყოველ შემთხვევაში, „სპარტაკის“ ხელმძღვანელები ჩვენებურით ერთობ კმაყოფილი არიან.



კახა მყავანაძე: ექსპრეს-დებიუტი „სპარტაკში“

— ვერ ვიფიქრებდი, „სპარტაკი“ თუ ასეთი მეგობრული, შეკრული გუნდი იყო. აქ ჩამოსვლის დღიდან სითბოსა და პატივისცემის მეტი არაფერი მიგრძენია, ყველა მამხნევეს, შეცდომაზე ტაქტიკაში მიმიითებს — ვგითხრა კახა მყავანაძემ — უკეთესს ვერც ვინატრებდი. ძალიან გახარებული ვარ, ასეთ გუნდში რომ მოვხვდი.

— **დებიუტით კმაყოფილი ხარ?**

— სულ 15 წუთი ვითამაშე და ბოლომდე დახარჯვა ვერც მოვასწარი. ისე კი, ვფიქრობ, არაფერი გამოიფუჭებია. ერთი კარგი პასიც გავაკეთე და თანაგუნდელთა ქება დავიმსახურე.

— **რომანცევთან პირადად არ გისაუბრია?**

— არა, ამის საშუალება ჯერ არ მქონია. მის თანამემწე გროზნის კი

ყოველდღე ვხვდები, ვარჯიშის მერე ცალკე გამიყვანს და მიხსნის, რომელ მომენტში რა როგორ სჯობდა. ძალიან მაღლივით ვარ რომანცევთან და გროზნის, შევიღივით მეყრობიან.

— **ძირითადში როდის გათამაშებთ, რას გეუბნებიან?**

— ეგ არ ვიცი, ამის თაობაზე ლაპარაკი არ ყოფილა. თუმცა კი დარწმუნებული ვარ, ცოტა ხანში ასეც იქნება. არა მგონია, გროზნი აჭარბებდეს, მეუბნება, „სპარტაკის“ სათამაშო სტილის ფეხბურთელი ხარ და ჩვენთან არ გაგიჭირდება.

— **შენ როგორ ფიქრობ?**

— მეც ასევე, ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა, და, ცოტა ფიზიკურადაც თუ მოვუმატე, არაფერი მიჭირს. რუსეთში ხომ ძალას ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევენ.

— **საყრდენ ნახევარმცველად თამაშობ?**

— ჯერჯერობით ასეა. ჩერნომორეცთანაც ბულატოვის ნაცვლად ვითამაშე. დღესდღეობით ამ პოზიციაზე მასზე უკეთესი „სპარტაკში“ არავინაა.

— **ესე იგი, შენი კონკურენცია...**

— ასეა, მაგრამ ვფიქრობ, რომ რომანცევმა თუ ძირითადში მათამაშა, ამკლუას ან მას შეუცვლის, ან მე. თუმცა გამორიცხული არ არის, ორივე საყრდენად გვათამაშოს. ვნახოთ, ჯერ კიდევ არ ვარ ბულატოვის დონის ფეხბურთელი.

— **ახალ გუნდში ვის დაუმეობრდი?**

— ბარანოვს. ძალიან კარგი ბიჭია, ქართველივით იქცევა, სულ ჩემს გვერდითაა, მასწავლის, მაშხნევენს, მეც დიდი პატივისცემით ვარ მის მიმართ.

კობა ინასარიძე

ითაგაზეთ ქართველებო უფამ ტავრის სპარტაკს გადაატარა

გუშინ საბოლოოდ გადაწყდა, რომ სწორედ უკრაინული „ტავრის“ ითამაშებს ინტერტოტოს თასის გათამაშების მესამე საკვალიფიკაციო რაუნდში. „ტავრის“ საინტერტოტო განაცხადში სამი ქართველია — გოჩა ტრაპაძე, ვასილ გვიგაძე და შოთა ჩომახიძე. ეგაა, ჩომახიძის ყოფილ კლუბ „ნივასთვის“ ტერნოპოლელებს საფასური ჯერ არ გადაუხდიათ და მისი უკრაინის ჩემპიონატში თამაში არ ხერხდება.

შეგახსენებთ, რომ „ტავრის“ ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპზე ბულგარული „სპარტაკი“ შეხვდა. „სპარტაკმა“ საშინაო მატჩში 2:0 კი გაიმარჯვა,

მაგრამ სიმფეროპოლელთა წინააღმდეგ განაცხადში შეუყვანელი ფეხბურთელი ათამაშა და უფამ ტექნიკური წაგება — 0:3 ჩაუთვალა.

საპასუხო შეხვედრა უკრაინაში ფრედ 2:2 დასრულდა და ბულგარელები მხოლოდ ავლეციის იმედად დარჩნენ. ეს იმედი კი გუშინ საბოლოოდ მოეხსნათ. უფამ იშვიათად ცვლის მიღებულ გადაწყვეტილებას და გამონაკლისი არც ამჯერად დაუშვია. სიმფეროპოლელ კლუბში გუშინ უეფადან გაგზავნილმა ფაქსმა დიდი სიხარული გამოიწვია.

ინტერტოტოს შემორჩენილ ქართველებს მესამე რაუნდში მეტოქედ „პარი სენ ვერმენი“ ერგოთ. ცნობისთვის: მსგავს გაუგებრობაში ფრანგული კლუბიც მოხვედრილა. ითხი წლის წინ მსგავს ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევ ეტაპზე რუმინულ „სტიაუსთან“ ტექნიკური მარცხი ჩაერვა, მაგრამ მაშინ პარიზელებმა თავს და მეტოქეს აჯობეს და საპასუხო შეხვედრაში 5:0 სძლიეს რუმინელებს.

ინტერტოტოს მატჩის გამო უკრაინის პირველი ტურიდან გადმოტანილი შეხვედრა „ტავრის“ გუშინ გამართა და შინ „კარპატს“ 3:0 მოუგო.

აბაზ კვანცალიანი

იმედამ ჩელეუბაძის იმედზე

რუსული „კრილია სოვეტოვი“ ქართველი ფეხბურთელის გაა იმედობის გადაბირებას ცდილობს. იმედამით „კრილიას“ მიერ სერიოზულ დაინტერესებაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან მისი ტრანსფერი უკვე გაგზავნილია რუსეთში.

თბილისის „დინამოს“ ყოფილმა ფეხბურთელმა რევაზ ჩელეუბაძემ სამარის „კრილია სოვეტოვი“ რამდენიმე ქართველი მოთამაშე წაიყვანა გასასინჯად. მათი გვარები ჩვენებურ გულშემატკივარს ბევრს ვერაფერს ეტყვის, მხოლოდ ქვეყნის ჩემპიონის, ქუთაისის „ტორპედოს“ თავდამსხმელი გაა იმედამა ცნობილი. სწორედ მას აქვს ყველაზე დიდი შანსი, სამარულ კლუბთან კონტრაქტი გააფორმოს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრს, 20 წლის იმედამეს, საქართველოში მხოლოდ ქუთაისის „ტორპედოში“ უთამაშია და ორჯერ ქვეყნის ჩემპიონი, ერთხელ კი თასის მფლობელი გამხდარა.

მან ერთხელ უკვე სცადა კარიერის სახელგარეთ გაგრძელება. კერძოდ, საქართველოს მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატის წინ ბევრი ალაპარაკდა, იმედამე კიევის „დინამოში“ გადადიოდა, თუმცა მაშინ ხმები ხმებად დარჩა და ვალერი ლობანოვსკი ამ ტრანსფერით სერიოზულად არ დაინტერესებულა. ფეხბურთელმა კი ის სეზონი მშობლიურ „ტორპედოში“ ჩამთავრა და ახლა, კვლავ ცდილობს, ლეგიონერი გახდეს.

აბაზ ზალაგზარიძე

გერმანია
ლიგის თასის 1/4 ფინალი
დინამო-ბანია 12 პირაბა

რუსეთი
XVI ტური
დინამო 04 ტორპედო

ფინეთი
XIX ტური
06 ტური 10 ჯაზი
კოპიო 30 ტაგარი

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

სიონში ანთავრებენ და აბრკელებენ სოლოლაშვილს დიდ ფეხბურთს კატარა ამჟობინა

მისთვის დღეა, ბორჯომში საწვრთნელ შეკრებაზეა ბოლნისური „სიონი“. ქვემოქართლელები იქ ერთობ მცირე, თქვენსეტიკაციანი შემაღენლობით გაემგზავრნენ, თუმცა დღეისთვის უკვე 19 ფეხბურთელით ემზადებიან. „სიონს“ ორი ახალწვეული ჰყავს — კახა და უშვილი და რევაზ გლუნჩაძე.

28 წლის დაუშვილს კარიერის უმეტესი ნაწილი თბილისურ „ლოკომოტივში“ გაუტარებია, მეთერთმეტე ეროვნულ ჩემპიონატში კი „არსენალის“ რიგებში ირიცხებოდა. კახა შარშანდელ სეზონში, ფაქტობრივად, ჩამოცილებული იყო ფეხბურთს და როგორც ჩანს, გადაწყვეტილება შეცვალა.

რაც შეეხება გლუნჩაძეს, იგი წინა სეზონში პირველ ლიგაში თამაშობდა, ჯერ „ზუღდიძე“, შემდეგ კი — „თორში“. ბოლნისელთა ორივე ახალწვეულმა გუნდში „სიონის“ პირველ საკონტროლო მატჩში მიიღო მონაწილეობა. ქვემოქართლელს მეტოქედ ვახტანგ კოპალეიშვილის დამოძღვრული „ნორჩი დინამო-ელი“ ჰყავდათ. უფრო გამოცდილმა უმაღლესლიგელებმა ტრავმამოშუშებული არჩილ შაკიაშვილის და ბესიკ შენგელიას გოლებით 2:0 გაიმარჯვეს.

„სიონის“ სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: დალაქიშვილი, ირემაშვილი, სიღამონიძე, შაკიაშვილი, მინდიაშვილი, ბარნოვი, მ. გოგოლაძე, ბ. შენგელია, მოსეშვილი, გლუნჩაძე, დაუშვილი.

ამას წინათაც გაცნობეთ, ფირუზ რეზიაშვილის გუნდს ბორჯომულ შეკრებაზე ბახვა ამბიძე და დავით სოლოლაშვილი უნდა შემატებოდნენ. ამბიძე გუნდში შეუერთდა საწვრთნელ პროცესს, სოლოლაშვილი კი ბორჯომში არ ჩასულა. მიზეზის დასადგენად თავად ფეხბურთელს შეეხებინათ, მან კი მოულოდნელი რამ გვითხრა — გადაწყვეტილად დიდ ფეხბურთს ჩამოვშორდე და სამომავლოდ ძალები მხოლოდ მინი-ფეხბურთში მოვისინჯო.

სოლოლაშვილი ბოლო ორი წელი „სიონის“ ღირსებას იცავდა და იმავდროულად საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრების წევრიც იყო. 32 წლის ფეხბურთელს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თრასზე მეტი მატჩი ჩაუტარებია. „ალაზანი“, „კახეთი“, „დინამო“, „კოლხეთი“, „ბათუმი“ — აი, ის გუნდები, სადაც სოლოლაშვილს „სიონამდე“ უთამაშია.

ბოლოს იმასაც გეტყვი, რომ დათოს დიდი ფეხბურთიდან წასვლა ჯერ კიდევ წინა ჩემპიონატში სურდა, როდესაც ტრავმის გამო თითქმის ორი თვე არ გამოჩენილა მოედანზე. თუმცა მაშინ „სიონის“ ხელმძღვანელების თხოვნას დაყბაულდა და გუნდს უმაღლეს ლიგაში დარჩენაში დაეხმარა.

აბაბა კვანთალიანი



ტინისხილში სტუმრიანობა იყო

ანსობა გორში და სარხეპეში

საფეხბურთო არდადეგების დასრულებამდე ძებნა არველაძეებმა გორში თავიანთი სახელობის საფეხბურთო სკოლა მონახულეს. ტინისხილში თამაშ ანიაშვილის საფეხბურთო კლუბ „ანცს“ შეფობას უფროსი არველაძე და პარლამენტარი გოგი თოფაძეც უწევენ.

ტინისხილში კიდევ ხუთ საფეხბურთო გუნდს უმასპინძლა და შეჯიბრიც გახურდა.

ტურნირი მასპინძლებმა მოიგეს. „ანცმა“ საჩხერის გუნდი „ნიკა 98“ 1:0 დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ ზემო იმერეთის საბავშვო გუნდს „დინამოს“ ერთ-ერთი მწვრთნელი ნიკა ჩხეიძე მფარველობს.

ძებნა არველაძეებმა და ნიკა ჩხეიძემ ტურნირის გამორჩეულ მოთამაშეებს სამასსოვრო პრიზები გადასცეს. ანცელებმა კი სათამაშო ფორმის კომპლექტი და ბურთები მიიღეს საჩუქრად.

ტინისხილში გამართული შეჯიბრიდან ერთი კვირის თავზე საჩხერლებმა გორელები შინ ისტუმრეს. პატარები მასპინძელ თანატოლთა ოჯახებში ცხოვრობდნენ და „ანცის“ პრეზიდენტ თამაზ ანიაშვილის თქმით, ერთმანეთთან კარგი, მეგობრული ურთიერთობებიც დაამყარეს.

დათო დანელია



დავით სოლოლაშვილი

საზაფხულო მიდი-გოდო

	ბასსვისაბულები	ახალწვეულები	საზონთობორისი
ტირაპელო რევაზ ძიძუაშვილი	ახელედიანი (კოლხეთი), ვაშაქიძე, მ. ბობოხიძე (დინამო), ა. ჯინჭარაძე (სოკოლი, სარატოვი, რუსეთი), იმედაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), ა. შერვაშიაძე (სამგურალი), კ. ჩხეტიანი (დებრეცენი, უნგრეთი), ვაჩიბერაძე (ბათუმი), დ. ჯანაშია (ტრანსილვანია), ტოგონიძე, არჩვაძე, ლევან სილაგაძე (?)	სტურუა (თსუ), აკოვანი (დილა), ლ. ქელიძე, ბერელიძე, გამეზარდაძე (ინტერი), ზ. ჭუთათელაძე, ო. ბობოხიძე (სამგურალი), გ. შენგელია, პარამონი (ლოკომოტივი), ისანი (სიონი), პოროშინი (მურფი, მოლდოვა), თ. მალანია (სკონტო 2, ლატვია), ძამსაშვილი (იბერია), გ. ჩხეტიანი (შეგარდენი, ქუთაისი)	სამგურალი 0:0, 2:1, გურია 5:0, ბათუმი 4:2, მეტალურგი 1:1, 1:0, 8:1
ლოკომოტივი კახა ცხადაძე	გ. შენგელია, პარამონი (ტირაპელო), გივი კვარაცხელია (სკონტო 2, რევა, ლატვია), ასლანაძე (გურია), გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი, დინამო)	დ. გოდერძიშვილი, დავითიძე (მურფი), ძიძუაშვილი (ერზურუმსფორი 2, თურქეთი), წერეთელი (ტრავმის გამო არ თამაშობდა), კობერიძე, სურცილაძე (ლოკომოტივი 3), სირობაძე (თბილისი), გელა ქორიძე (ბათუმი), კახა ცხადაძე (მთავარი მწვრთნელი)	გორდა 1:1
დინამო გივი ნოდია	ი. შენგელია (მურფი), ხაჩიარაძე (გორდა)	მალაშვილი, შავგულიძე (კოლხეთი), ხუციშვილი (მურფი), ვაშაქიძე, მ. ბობოხიძე (ტირაპელო), ამისულაშვილი (იბერია), დარასელია (ცსკა, კიევი, უკრაინა), მამალაძე (ინტერი), მ. შულია (დინამო 2), მიქაეა (ტრანსილვანია, თურქეთი), ვ. ქუთათელაძე (?), გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი, ლოკომოტივი)	რედი (ავსტრია) 1:0, 1:2, ტრუა (საფრანგეთი) 0:0, 1:1
მიტ ჯორჯია ჯანი კარნევალი	გიორგი ქორიძე (?), საბერნეთი	ლ. კვარაცხელია (ზოიგეტი), მამარდაძე, არუშიძე, ზ. მეტრეველი, ბეროშვილი (თსუ), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია 2)	რედი (ავსტრია) 1:0, 1:2, ტრუა (საფრანგეთი) 0:0, 1:1
კოლხეთი სოსო ფილია	მალაშვილი, შავგულიძე (დინამო), ხუცია (გურია), ლანდიძე (მეტალურგი, კრასნოარსკი, რუსეთი)	ივანიანი (იბერია), მიქელთაძე (იბერია), ახელედიანი (ტირაპელო), ქუტიძე (ქობულეთი), გიორგი კვარაცხელია, მ. ფილია (კოლხეთი 2)	სამგურალი 1:0, ბათუმი 2:1, ქობულეთი 2:1, 2:0
მერანი თიარ ვაბელია	დევაძე (პოლიგრაფტეხნიკა, ოლექსანდრია, უკრაინა), დ. გოდერძიშვილი, დავითიძე (ლოკომოტივი), ხუციშვილი (დინამო), კოროშინაძე (გორდა), გ. ჩხაიძე (ბათუმი), ქადაგიძე (ბათუმი), გ. კვციტაძე (იესილა, კოჭტაგვი, ყაზახეთი), მ. მინაშვილი, დევიძე, თილოლოდავა, ხუციაძე, ივანიშვილი, ოდიშორია (?)	რევაზიშვილი (დილა), ი. შენგელია (დინამო), დავითაშვილი (სიონი), გ. გუგუა, ხიზინიშვილი (იბერია), თ. ჩხაიძე, ვ. თოდუა, ავალიანი, ნათიბაძე, ფურცელაძე (ბორჯომი), მინჯია (თსუ), დათუნაშვილი (თბილისი), გაბელია (არ თამაშობდა), მუსუკელიანი (?), მულგარეთი	თსუ 3:2
ბათუმი ასლან ბაღაძე	მეფანაძე (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი), თედორაძე (ტირაპელო, უკრაინა), კაკაბაძე (ტირაპელო მზ, მინსკი, ბელარუსი), გელა ქორიძე (ლოკომოტივი), პაპიძე, მახარაძე, ლლონტი, ა. მუჯირი, ყულევიშვილი (?)	თურმანიძე (სამგურალი), გ. ჩხაიძე (მურფი), მ. ლაცაბიძე (იბერია), ზ. ვაგაზია (თსუ), გლოგერი (ინტერი), ვაჩიბერაძე (ტირაპელო), ჭითანავა (ბათუმი 2), ქადაგიძე (მურფი)	კოლხეთი 1:2, გურია 1:1, ტირაპელო 2:4, სამგურალი 3:0
სიონი ფირუზ რეზიაშვილი	ისანი (ტირაპელო), ასპინძელაშვილი (მილანი), დავითაშვილი (მურფი), კ. მეტრეველი, ვახისონია (?), სოლოლაშვილი (თამაში მიატოვა); სპარტაკ არჩვაძე (მთავარი მწვრთნელი)	რ. ხაჭაპურიძე, ხორგუაშვილი (დილა), დავუშვილი (არ თამაშობდა), გლუნჩაძე (თორი); ფირუზ რეზიაშვილი (მთავარი მწვრთნელი)	ნორჩი დინამოელი 2:0
გორდა იასონ ალადაშვილი	სოსიძე (თსუ), თ. მეტრეველი, ა. გელაძე, ს. ბაჩილავა, მჭედლიძე (?), გუგუზავა (თამაში მიატოვა); ვია გველუაძე (მთავარი მწვრთნელი)	ვ. კოლასონია, ვ. კოლასონია (თურანი, თაუზი, აზერბაიჯანი), კოროშინაძე (მურფი), ზ. ლაბაძე (თსუ), ნ. ლობჯანიძე (უფუცასან დისკალიფიცირებულია), ხაჩიარაშვილი (დინამო), იასონ ალადაშვილი (მთავარი მწვრთნელი)	ლოკომოტივი 1:1, თსუ 2:0
გურია ზაზა გურიელიძე	დ. მინაშვილი, ძნელაძე (?), კორკატაძე (?), გერმანია	ასლანაძე (ლოკომოტივი), მარლიშვილი (ცხინვალი), ნინუა (იბერია), ყუფარაძე, ტაბატაძე, ნ. ბაქრაძე, სიამაშვილი (ლოკომოტივი 3), მეტაძე (მურცხალი), ხუცია (კოლხეთი)	ბათუმი 1:1, ტირაპელო 0:5
მეტალურგი ვახილ ჭეიშვილი	აჭარაძე, ფანცხავა, მახათაძე (?)	ვ. თაბერიძე (ინტერი), მურანი (მილანი), სუხიაშვილი (თორი), ლ. ხმალაძე (იბერია)	ტირაპელო 1:0, 0:1, 1:8, სამგურალი 1:2
სამგურალი გია ვიგატაძე	კვრინაძე (დებრეცენი, უნგრეთი), ზ. ქუთათელაძე, ო. ბობოხიძე (ტირაპელო), თურმანიძე (ბათუმი), ვადაქორია (?)	ა. მუჯირაძე (ტირაპელო), ო. ფხაკაძე (ოკეანი), ნებერიძე (მეტალურგი, პერნიკი, ბულგარეთი), ვ. ვანაშია (თორი), ხუნდაძე (ქიაფაზი, ვანჯა, აზერბაიჯანი), ნაროშვილი (ინტერი)	კოლხეთი 0:1, ტირაპელო 0:0, 1:2, მეტალურგი 2:1, ბათუმი 0:3

შანიშვილი: საბოლოო მხობილად დახრილი ტრანსფერები



სარბიელი სპორტული ლატარია



BOOKMAKERS

ბათუმში

გაიხსნა ხროჯოს ახალი ბიურო
მისამართი: ფიროსმანის ქუჩა №7ა

1 ავვისბოლან ხროჯო
ხუთშაბათობითაც
იშუაზავს. დასვენების
დღე მხოლოდ
ორშაბათი იქნება.
სამუშაო დღეებია:
სამშაბათი, ოთხშაბათი,
ხუთშაბათი, პარასკევი,
შაბათი, ხვირა

შვეიცარია. A ჯგუფი. მე-2 ტური 14 ივლისი

20.30	009	აარაუ-ლუცერნი	2,0	3,0	3,5
22.30	010	ლუგანო-გრასჰოპერი	2,4	3,1	2,6
22.30	011	ქსამაქსი-სიონი	2,3	3,1	2,8
23.15	012	ციურიხი-სენტ გალენი	2,4	3,1	2,6

შვეიცარია. B ჯგუფი. მე-2 ტური 14 ივლისი

20.30	018	ბადენი-დელემონი	2,4	3,0	2,7
22.30	019	ბელინცონა-ვინტერთური	1,95	3,1	3,5
22.30	020	კარუჟი-კონკორდია	1,55	3,4	5,0
22.30	021	კრინსი-ვალუცი	1,55	3,4	5,0
22.30	022	თუნი-ივერდონი	2,3	3,2	2,7
22.30	023	ვილი-ლოკარნო	1,45	3,5	6,0

შვედეთი. მე-13 ტური 15 ივლისი

20.00	033	ჰალმსტადი-ჰამარბი	1,75	3,2	4,0
20.00	034	ტრელებორგი-გეტებორგი	3,5	3,3	1,85
22.00	035	ჰეკენი-ჰელსინგბორგი	3,0	3,1	2,2

ფინეთი. გადაღებული მატჩები 14 ივლისი

18.00	040	იოკერიტი-როვანიემი	1,65	3,3	4,7
15 ივლისი					
20.30	041	ჰიკ-ჯაზი	1,25	4,4	8,0
20.30	042	ტამპერე-ლაჰტი	1,55	3,4	5,6
20.30	043	მიუპა-ვაასა	1,4	3,8	7,0

პოლონეთი. სუპერთასი 15 ივლისი

18.00	049	ვისლა-პოლონია	1,85	3,1	3,8
-------	-----	---------------	------	-----	-----

ინტერტოტოს თასი. III ეტაპი. I მატჩები 14 ივლისი

23.30	512	ბრეშა-ტატაბანია	1,35	3,8	7,0
23.00	513	ლოკერენი-ნიუკასლი	2,6	3,3	2,3
21.00	514	ცელიე-ლოზანა	2,3	3,0	2,9
21.00	515	ვოლფსბურგი-დინამო (მინსკი)	1,35	3,8	7,0
20.30	516	ვერდერი-გენტი	1,4	3,6	6,5
20.00	517	ბლშანი-პობედა	1,55	3,4	5,6
20.00	518	სლავენი-ასტონ ვილა	2,4	3,1	2,6
22.30	520	ბაზელი-ჰერენვენნი	2,3	3,1	2,8
21.00	521	ტაგირია-პსუ	3,3	3,2	2,0

15 ივლისი

17.30	519	ვალვაიკი-მიუნხენი	2,5	3,0	2,5
21.00	522	რენი-სინოტი	1,4	3,6	6,5
21.00	523	ტრუა-აიკ	1,6	3,3	5,3

კოპა ამერიკა (კოლუმბიაში) 11 ივლისი

04.00	524	ეკვადორი-ჩილე	2,5	3,0	2,5
06.45	525	კოლუმბია-ვენესუელა	1,05	7,0	14,0

12 ივლისი

03.30	526	პერუ-პარაგვაი	4,2	3,1	1,75
05.45	527	ბრაზილია-მექსიკა	1,4	3,6	6,5

13 ივლისი

04.00	528	ბოლივია-ურუგვაი	5,0	3,4	1,6
06.15	529	ჰონდურასი-კოსტა რიკა	2,9	3,0	2,2

14 ივლისი

02.15	530	ჩილე-ვენესუელა	1,15	5,6	10,0
04.30	531	კოლუმბია-ეკვადორი	1,4	3,8	6,5

15 ივლისი

02.00	532	ბრაზილია-პერუ			
04.15	533	პარაგვაი-მექსიკა			

16 ივლისი

04.00	534	ურუგვაი-კოსტა რიკა			
06.15	535	ჰონდურასი-ბოლივია			

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები 13 ივლისი

22.30	536	ევგი პტე-ნამიბია	1,25	5,0	9,0
-------	-----	------------------	------	-----	-----

14 ივლისი

17.30	537	სიერა ლეონე-ლიბერია	3,6	3,4	1,75
18.00	538	საფრიკა-მალავი	1,2	5,6	10,0
18.00	539	სენეგალი-მაროკო	2,5	3,0	2,5
18.00	540	ზამბია-კამერუნი	2,5	3,0	2,5

15 ივლისი

16.00	541	განა-სუდანი	1,5	3,5	6,0
17.00	542	ტოგო-ლიბია	1,45	3,6	5,6
17.30	543	დრ კონგო-ტუნისი	5,0	3,6	1,5
17.30	544	კონგო-კოტ დივუარი	5,0	3,6	1,5
18.00	545	ზიმბაბვე-ბურკინა ფასო	1,7	3,2	4,4

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

სარბიელი
საბრტული
ლაბარია



BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებულ ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლოების, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იხვევა.

კროკოს ბიუროთა მისამართები

	ფურცელადის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	1 სავაჭრო ცენტრი
თბილისი	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	ნერეთლის გამზირი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა №16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა № 27	
გორი	სტალინის ქუჩა №30	ჭადრაკის კლუბი
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №61	ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა № 113	
	ფიროსმანის ქუჩა № 7 ^ა	
ქობულათი	ალმაშენებლის ქუჩა № 106	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურბეთი	გურიის ქუჩა №23	

ბათამაშაბის წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცილოს ტირაჟში მოცემული საორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელი“-ს. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოცემის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დაახუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცილოს ვარიანტი ალნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მათედიის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმორჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

- ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:
- 1 ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
 - 2 შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მიწოდზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
 - 3 შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
 - 4 მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
 - 5 წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
 - 6 არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი
- (ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.
- თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიანი სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).
- ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის

რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეიცვოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკომპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივლება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, ანერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღებს იმ ქვითარებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანხმება, ითამაშოს არსებული წესებით.






სანამ აბვირჩვით, ჩვენს გვათქმევინეთ ორიოდ სიტყვა

გუშინ, 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლის არჩევამდე ერთი დღით ადრე, ყველა პრეტენდენტი ქალაქის — პეკინის, ტორონტოს, პარიზის, ოსაკასა და სტამბოლის დელეგაციათა შეფხვმა პრესკონფერენციები გამართეს. თითოეულს 45 წუთი მიეცა საბოლოო პოზიციის გამოხატავად.


ტორონტო



პოლ ბიტოუვი საემიოდ კატეგორიული იყო

რეს, ოლიმპიური ღირსეულობა „ოლიმპი-ადა ათლეტებისთვის“ უნდა იყოს. ეს ირბი იერიშია ჩინეთზე, რომელიც ოლიმპიადის მასპინძლობას მოსახლეობის სიჭარბის ფაქტორით ითხოვს, დედამიწის მკვიდრთა მეთოდებს ერთი ოლიმპიადი ნამდვილად ეკუთვნისო. ტორონტო კი შენიშნავს, რომ ოლიმპიურ

სტამბოლი



სინან ერდემს იმედი ჰქვარა დაუკარგავს

„უმნიშვნელო“ შანსების მიუხედავად, თურქები სტამბოლის კაჟით არიან. პრესკონფერენციაზე მასპინძლის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) თურქი წევრი სინან ერდემი წარუდგა და განაცხადა, რომ იმედი ჯერ არ დაუკარგავთ. „კომიტეტის წევრებს შორის ისეთებსაც ვაძინევთ, სტამბოლისადმი სიმპატიით რომ არიან განწყობილი — მხნედ თქვა ერდემმა — ეს ჩვენი მესამე ცდაა და ცდიდან ცდამდე ვიზრდებოდით. წარმოვადგინეთ დიდი შრომის შედეგი და ვნახოთ, სოკ-ი ამას თუ დაინახავს.“

პარიზი



„პარიზი 2008“-ის გენერალური მენეჯერი ნოელ დე სენ პულენი გუშინდელ პრესკონფერენციაზე

„პარიზი 2008“-ის გენერალური მენეჯერი ნოელ დე სენ პულენი გუშინდელ პრესკონფერენციაზე ერთხელაც დაადასტურეს, რომ თუ გაიმარჯვეს, 2008 წლის ოლიმპიადის ექსტრავაგანტულობის ნიშნები იქნება და სრული ძალით იმუშავებს დევიზი — „თამაშები ქალაქში“. ამასთან, ტორონტოელთა მსგავსად, მათაც თავი არიდეს ჩინეთში ადამიანთა უფლებების დარღვევებზე პირდაპირ საუბარს და მხოლოდ ირბი განცხადებები გააკეთეს. პრესკონფერენციაზე პარიზი წარადგინა ილ დე ფრანსის (რეგიონი, სადაც ქალაქი მდებარეობს) რეგიონალური საბჭოს პრეზიდენტმა ჟან პოლ უბონმა, რომელმაც კმაყოფილებით აღნიშნა, რომ პარიზის ფავორიტებში ყოფნა გასაკვირი სულაც არ არის, რადგან: „საფრანგეთს, ჩემი აზრით, ყველაფერი ისე აქვს წარმოჩენილი, როგორც არის და საჭიროა — ლამაზად და შეუღამაზებლად. არ შეიძლება, ამ ამბავმა იმ ხალხის შეხედულებაზე არ იმოქმედოს, ვინც საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს.“



ოსაკა

აუტსაიდერ ოსაკას ქალაქის მერი ტაკაჟუმი ისომურა წარადგინდა, რომელმაც უარყო ხმები, თითქოს იაპონელებს ოლიმპიადის უზრუნველყოფა ფული არ ჰყოფნით. შეგახსენებთ, სწორედ ფინანსურმა მხარემ დატოვა უკმაყოფილო ოლიმპიური ჩვიდმეტკაცის წევრები, რომლებმაც იაპონელთა ინფრასტრუქტურა დიასაც მოსაწონად მიიჩნიეს და მხოლოდ ფულის უკმარისობა და სატრანსპორტო საკითხი

დარჩათ გაურკვეველი. ისომურამ მტკიცედ განაცხადა, რომ ფინანსური პრობლემა იაპონელებს არ აქვთ. „ოსაკას გარანტიები კლდესავით მყარია“ — განაცხადა ისომურამ პრესკონფერენციაზე და მაინც უფრო ინფრასტრუქტურაზე ილაპარაკა, რადგან ყველაზე მეტი ზურგი ამ პუნქტში ჰქონდა. „სარბილების ორი მესამედი უკვე მზადაა — თქვა მან — ჩვენი მოქალაქეები მათ უკვე იყენებენ და ფინანსუ-

რი ბაზისიც საკმარისად მყარია. მხოლოდ უიღბლობას თუ დაუბრალებთ, რომ შემფასებელი კომისიის წევრებს რაღაცეები არ მოეწონათ.“ ქალაქის მერმა ბოლოს დააკონკრეტა, რომ ოსაკას ბიუჯეტიდან ოლიმპიური ხარჯების მხოლოდ 12 პროცენტი გავა, ხოლო დანარჩენ ფულს იაპონიის მთავრობა, ოსაკის პრეფექტურა და სხვადასხვა ორგანიზაციები ჩამოვლენ.




პეკინი

პეკინის სახელით „პეკინი 2008“-ის გენერალურმა მდივანმა ვანგ ვეიმ ილაპარაკა და მთავარი, რაც თქვა, მასმედიას ეხებოდა. ჩინელის განმარტებით, თუ მოვლენებ. კარგად წარიმართა და პეკინმა გაიმარჯვა, ჟურნალისტებს ოლიმპიადაზე სრული თავისუფლება ექნებათ. ცხადია, ვეის არ დაუსახელებია გამონაკლისები, მაგალითად, საბუნდოვანი ამერიკის შეერთებული შტატებიდან, არამედ შემდეგი განაცხადა: „ჟურნალისტებს არანაირად არ შეეზღუდავთ, მათ შეეძლებათ წერონ, რაც უნდათ და რამდენიც უნდათ. ჩინეთის კარს მთელი მსოფლიოს მედიისთვის ფართოდ გავაღებთ.“ ვანგ ვეის ფრაზები ვერაფრით ჩააცხრობს პროტესტის ტალღას, რომელიც რამდენიმე მხრიდან აზვირთდა. წინა პარასკევს თვით ევროპარლამენტმაც იმსჯელა, ჩინელთათვის მეტად უდროოდ, ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებების შელახვაზე, ცალკე ამინსტიის საერთაშორისო ორგანიზაცია შეუდგა სტატისტიკური მასალისა და კონკრეტული ფაქტების მოძიებას იქ მიმდინარე რეპრესიულ მოვლენებზე. ორგანიზაცია „ჟურნალისტების საზღვრების გარეშე“ ხომ შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რათა აღმოსავლელი ამხილოს და პრესკონფერენციაზეც ვანგ ვეის თუ რამ ჰკითხეს, პირველ ყოვლისა ამ თემის ირგვლივ. ჩინელს აღეგება არ დამჩნევია. ეტყობა, მრავალჯერ გაუცია პასუხი მსგავს კითხვებზე და ამჯერად კარგად ნასწავლი ტაქტიანი ფრაზები ჩაარაკარა, რომ იქნებ ჩინეთში არის კიდევ გარკვეული პრობლემები, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ოლიმპიადამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი მათ მოგვარებასო. „ჩვენი ქვეყანა დანარჩენი მსოფლიოსკენ შეტრიალდა — თქვა ვანგ ვეიმ — მას შემდეგ ძლიერ წავიწიეთ წინ, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეშიც. გვეჯერა, რომ თამაშების ჩინეთში ჩატარებით არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკა იხვირებს, არამედ პროგრესი იქნება სოციალურ სფეროებშიც, აღარც ადამიანის უფლებები დაირღვევა.“



„პეკინი 2008“-ის თანათავმჯდომარე ტუ შინგდენი გუშინ ჩინებულ ხასიათზე იყო

სერ, დოქტორ ალექს



REUTERS გლაზგოდან

დაბადებით და ვაგებით გლაზგოელს, ნაღდ ქალაქელს და ა.შ. და ა.შ. სერ ალექს ფერგიუსონს ერთი წოდებაც შეემატა: ამიერიდან მშობლიური ქალაქის კალედონიან უნივერსიტეტის საპატიო დოქტორიც იქნება. ეს ტიტული მწვრთნელს ქალაქის წინაშე განსაკუთრებული ამაგვისთვის მიენიჭა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, ტაქსი...

ამ უჩვეულო სილვესტონის ტრასაზე ბრიტანეთის დიდი საფორმულე პრიზი გათამაშდება. „უილიამსის“ პილოტი რალფ შუმახერი კი ლონდონური ტაქსის საჭეს მიჯდომია და გასართობი სურათების გმირი ხდება. ეჰ, რომ იცოდეს რალფმა, რა ძნელი ხელობაა ლონდონში ტაქსის საჭესთან ჯდომა, სასწრაფოდ თავის ბოლიდზე გადაჯდებოდა.



REUTERS ლონდონიდან

პირველი ინდონეზიელი


ინდონეზიასაც თავისი გმირი ჰყავდა უიმბლდონზე: გოგონათა პირველობა 16 წლის ანჯელიკ ვიჯაიამ მოიგო. ანჯელიკმა ფინალში განთქმული რუსი ჩოგბურთელის მარატ საფინის დას, დინარას სძლია. ინდონეზიის ისტორიაში პირველადია, რომ იქაურ ჩოგბურთელს დიდი სლემის რომელიმე ტურნირი მოუგია, თუნდაც ნორჩებს შორის. ამიტომაც, ქვეყნის პრეზიდენტმა აბდურაჰმან ვაჰიდმა დიდი პატივითა და სიხარულით მიიღო გოგონა ჯაგარტას სასახლეში.



REUTERS ქაბულშიდან

მარკას მხარს უჭერს

ოლიმპიადა ბეკინში უნდა გაიმართოს! ამის სამტკიცებლად გუანჯოუში უზარმაზარი ოლიმპიური საფოსტო მარკა დაუმზადებიათ და საგანგებო მოედანზე გაუფენიათ. მარკის სიგრძე 39 მეტრია, სიგანე — 29, წონა კი სამ ტონამდე იქნება. ამხელა მარკა მსოფლიოში ჯერ არავის დაუმზადებია, ჩვენ კი ამ საღამოს გვეცოდინება 2008 წლის ოლიმპიადის მასშინძელი.



REUTERS გუანჯოუდან

კრიკეტი ქაბულში

მრავალწლიანი ომით ტანჯულ ავღანეთში სპორტი სულ ბოლო რამეა. ამიტომ საკვირველია, რომ ქაბულის ქუჩაზე კრიკეტის მოთამაშეებს ვხვდავთ. ამ ქვეყანაში ადრე კრიკეტი არ ჰყვარებიათ, მაგრამ რაც აქედან რუსის ჯარი გავიდა, სამშობლოსკენ პაკისტანში ლტოლვილმა ხალხმა იწყო დენა. კრიკეტიც მათ დანერგეს და ამ თამაშის პოპულარობა დღითიდღე იზრდება. თუმცა, ავღანეთში კვლავ ომია, თალიბები და აჰმედ შაჰ მასუდი, პეშავარის უბერებელი პრინცი ებრძვიან ერთმანეთს.

სარბიელი
საორტული გაჯეთი
გაგონიყვამ 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გაგონდის საგზაბათს,
ოთხგზაბათს, ხუთგზაბათს,
კარასკეპს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი ვიორბი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი პასტანა ბუნიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორიძე
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, ვიორგი დარჯანია, ვიორგი ვაშაყიძე, დავით თაყაიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და

ინფორმაციის რედაქცია ვია ახალაძე, ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუსა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბოიანიძე, ნათელა ვიორგობიანი, ლალი ვიორგობიანი, ვლენე გელუტაშვილი, მამუკა გუგუაძე, სვეტა ჯეჯეძე, მავდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თეფიკა ფოფხაძე, ნინო ყუყუნია, გურამ ხელაშვილი
გამომწვეები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge